

შეხვედრა ახალსოფლის მოსახლეობასთან



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები - ზვიად ხალვაში და კახა ფუტყარაძე, საქართველოს პარლამენტის ვიცე სპიკერ ილია ნაკაშიძესთან, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მერაბ კარანაძესთან და ხელვაჩაურის საკრებულოს წევრებთან ერთად სოფ. ახალსოფლის მოსახლეობის პრობლემებს გაეცნენ. შეხვედრაზე განხილული იქნა სხვადასხვა პრობლემური საკითხი, მათ შორის:

ახალსოფლის ცენტრის მოწყობის სამუშაოების დაგეგმვა;

საბავშვო ბაღში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო ღონისძიება;

ახალსოფლის სპორტსკოლასთან სტანდარტული მინი მოედნის მოწყობა.

ზემოთხსენებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გასატარებლად საჭირო თანხა 2019 წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული.